სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

21 სექტემბერი, 2023 წ

ბრძანება N 01-02/178

2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის „ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ზალცბურგის უნივერსიტეტში ბსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების და ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილების, „ERASMUS + საგრანტო პროექტისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის(19.09.2023 წლის №1182204) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. „2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის „ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ზალცბურგის უნივერსიტეტში ბსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების და ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოსავლენად **გამოცხადდეს კონკურსი და განისაზღვროს შემდეგი ვადები და კრიტერიუმები**:

ა) კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით განსაზღვრული საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება ელექტრონულ ბმულზე https://registration.bsu.ge/Registration-2.php და სტუდენტური პორტალის მეშვეობით **2023 წლის 25 სექტემბრიდან – 2023 წლის 23 ოქტომბრის ჩათვლით 15:00 საათამდე**;
ბ) საბუთების შემოწმება და შეფასება - **2023 წლის 24 ოქტომბერი, 10:00-12:00 საათი** (საბუთების შემოწმებასა და შეფასებას დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი);
გ) ტესტირება/გამოცდა ინგლისურ ენაში (B2) - **2023 წლის 25 ოქტომბერი, 12:00 საათი,** საგამოცდო ცენტრი, №4 კორპუსი, მის: ქ. ბათუმი ფიროსმანის ქ. №12 (უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის არსებობის შემთხვევაში, კონკურსანტი თავისუფლდება ტესტირებიდან;
დ) გასაუბრება კომისიასთან - **2023 წლის 26 ოქტომბერი, 11:00 საათი**;
ე) საბუთების გადაგზავნა მიმღებ უნივერსიტეტებში - **2023 წლის 28 ოქტომბერი.**

2. დამტკიცდეს წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით **საკონკურსო კომისიის შემადგენლობა:**
   ა) მერაბ ხალვაში - თავმჯდომარე, რექტორი;
   ბ) ანზორ ბერიძე - თავმჯდომარის მოადგილე, რექტორის მოადგილე;
   გ) თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე;

დ) ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ე) მარინა გიორგაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი;
ვ) ნანა ყურშუბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ერაზმუს+ კოორდინატორი ბსუ-ში;
ზ) ლევან ჯაყელი - იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.
3. კონკურსის წესით შერჩევა განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით დამტკიცებული ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესით'' და წინამდებარე ბრძანების შესაბამისად.
4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტი მომზადდეს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ და გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს - ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**